



ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business



Konrad
Adenauer
Stiftung

საქართველო-ევროკავშირის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება

გზამკვლევი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის





პროექტს ახორციელებს კონრად ადენაუერის ფონდი ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრთან და ასოციაცია ათინათთან თანამშრომლობით.

The project is implemented by the Konrad-Adenauer-Stiftung e.V., Economic Policy Research Center (EPRC) and Association Atinati.

„წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია“.

“This publication has been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of the Economic Policy Research Center (EPRC) and can in no way be taken to reflect the views of the European Union”.



შესავალი

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას, ღრმა და ყოვლის-მომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ჩათვლით, ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს. შეთანხმება საქართველოს ბიზნესსა და საზოგადოებას ახალ შესაძლებლობებსა და განვითარების პერსპექტივას უხსნის.

წინამდებარე გზამკვლევი მცირე და საშუალო ბიზნესში ჩართულ ადამიანებს, ან მათ, ვისაც ბიზნესის წამოწყება სურს, ამ შეთანხმებით ხელმისაწვდომი სარგებლის მიღებაში დაეხმარება.

გზამკვლევეში წარმოდგენილია ინფორმაცია შეთანხმების შესახებ; ინტერნეტ-რესურსები, რომელშიც ახალი შესაძლებლობების შესახებ მეტი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია; დეტალები ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტების შესახებ, რომელში ჩართვაც საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ.

რა არის ასოცირების შეთანხმება?

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ფორმდება ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ ქვეყანას შორის და მიზნად ისახავს მხარეთა შორის თანამშრომლობის ჩარჩოს შექმნას. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ სამართლებრივად სავალდებულოა.

ასოცირების შეთანხმება ქმნის საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა (მათ შორის დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, ქვეყნის სუვერენიტეტის აღიარების მიმართულებით);
- საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა;
- მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება;
- დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა;
- ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლის-მომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ჩამოყალიბებას.

ასოცირების ხელშეკრულების შესრულება შესაძლებლობას მისცემს საქართველოს:

- გაუმჯობესდეს ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხი;
- გაიხსნას ახალი შესაძლებლობები მცირე და საშუალო სანარმოებისთვის;
- უფრო ხელმისაწვდომი გახდეს ევროპული განათლება;
- გაუმჯობესებული ჯანდაცვა;
- გაიზარდოს ენერგოეფექტიანობა და მოხდეს განახლებადი ენერჯო რესურსების განვითარება;
- შეიქმნას უკეთესად ფუნქციონირებადი სასამართლო;
- გამყარდეს კანონის უზენაესობა;
- საჯარო სამსახური გახდეს უფრო ანგარიშგალდებული და გამჭვირვალე და სხვა.

რა არის DCFTA? რატომ არის ასოცირების ხელშეკრულება და DCFTA მნიშვნელოვანი საქართველოსთვის?

DCFTA მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და იძლევა საქართველოსთვის ევროკავშირის შიდა ბაზრის გახსნის საშუალებას.

DCFTA საქართველოს საშუალებას აძლევს ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას - ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას, ხელს უწყობს შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის რეჟიმი.

DCFTA ვალდებულებები კერძო სექტორისთვის

DCFTA ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოვებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან შემდეგ სფეროებში: სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები, სახელმწიფო შესყიდვები, საბაჟო და მომსახურებით ვაჭრობა (ელექტრონული კომუნიკაცია, ფინანსური მომსახურება, ტრანსპორტი, ფოსტა და საკურიერო მომსახურება).

ეს ვალდებულებები ხორციელდება ეტაპობრივად, ხდება ევროკავშირის სხვადასხვა რეგულაციის ამოქმედება საქართველოს სახელმწიფოსთან შეთანხმებული ვადებით, რათა შესაძლებელი გახდეს მიღებული ვალდებულებების დაკმაყოფილება, რომელშიც შესაძლოა იგულისხმებდეს:

- ევროპული სტანდარტების ამოქმედება კვების მრეწველობის სხვადასხვა სფეროში, რაც გულისხმობს წარმოების და ბაზარზე განთავსების წესების განსაზღვრას;
- ევროპული სტანდარტების ამოქმედება მშენებლობაში - რაც გულისხმობს ევროპული სტანდარტის დამკვიდრებას როგორც სამშენებლო მასალების წარმოებაში, ასევე პროექტირებაში და მშენებლობის პროცესში;

- სახელმწიფო შესყიდვების სტანდარტის ამოქმედება, რაც უზრუნველყოფს მასში მეთი ბიზნეს-სუბიექტის მონაწილეობას და პროცესის მაქსიმალურ გამჭვირვალობას და ა.შ.

ცვლილებები, როგორც ზემოთ ჩამონათვალიდანაც გამოჩნდა, ვაჭრობისა და ეკონომიკის ყველა სფეროს მოიცავს და საბოლოო ჯამში მის თვისებრივად ახალ, ევროპულ სტანდარტამდე აყვანს გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებების პროცესში ქართულმა მხარემ მიაღწია უპრეცედენტო შეთანხმებას ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით. შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე, ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი, გათავისუფლდება საბაჟო ტარიფისგან ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისას.

DCFTA სარგებელი მცირე და საშუალო ბიზნესისა და საზოგადოებისთვის

საქართველო-ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს:

- ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას;
- გამჭვირვალე, სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას;
- საქართველოს საინვესტიციო მიზიდველობისა და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდას;
- ქვეყნის მდგრად განვითარებასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას;
- ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის შექმნას;
- ადგილობრივი წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;
- ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასა და გაფართოებას;
- ქართველი ექსპორტიორებისთვის ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას;
- ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას;
- სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესაბამისად;
- ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას: მოკლევადიან პერსპექტივაში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდას 1,7 %-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში - 4,3 %-ით. მოკლევადიან პერსპექტივაში ექსპორტის 9 %-ით, იმპორტის 4,4 %-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ექსპორტის 12 %-ით, იმპორტის კი 7,5%-ით ზრდას.

ევროპის მენარმეთა ქსელი - ENTERPRISE EUROPE NETWORK (EEN)

ბიზნესისთვის მნიშვნელოვანია, რომ ასოცირებული ქვეყნის სტატუსის მინიჭების შემდეგ, საქართველოს 2016 წლიდან აქვს წვდომა ევროკავშირის რამდენიმე პროგრამასა და ფინანსურ ინსტრუმენტზე, მათ შორის გახლავთ ევროპის მენარმეთა ქსელი (Enterprise Europe Network - EEN).

ევროპის მენარმეთა ქსელი წარმოადგენს პლატფორმას, რომელიც ემსახურება ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა შორის კონკრეტული ბიზნეს შემოთავაზებების ურთიერთგაცვლასა და კავშირების დამყარებას. EEN ქართული კომპანიებისთვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის ევროკავშირის ბაზარზე ფართოდ გაავრცელონ საკუთარი ბიზნეს წინადადებები და მოიზიდონ შესაბამისი პარტნიორები.

აღნიშნული ქსელი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი, ბიზნესისა და ინოვაციების ხელშემწყობი ორგანოა, რომელიც 60 ქვეყანაში 600 პარტნიორ ორგანიზაციასა და მენარმეთა მომსახურების ფართო სპექტრს აერთიანებს, ამასთანავე, ევროკავშირის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია და კერძო სექტორის განვითარებასა და დასაქმების ზრდისკენაა მიმართული.

EEN ბიზნეს თანამშრომლობის ცენტრების მეშვეობით ხელს უწყობს კომპანიების:

- 500 მილიონიანი მომხმარებლით დაკომპლექტებულ სიცოცხლისუნარიან ბაზარზე წვდომას;
- ტექნოლოგიების გაცვლის საშუალებით პროდუქციის ხარისხის ამაღლება და კონკურენტუნარიანობის გაზრდას;
- თავსებადი ევროპელი პარტნიორების მოძიებას;
- ევროპის მასშტაბით ახალ სანარმოო არხებთან წვდომის გაუმჯობესებას.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო და „ანარმოე საქართველოში“ EEN-ის ოფიციალური წარმომადგენლები არიან საქართველოში, კერძოდ, გახლავთ EEN-ის Business Cooperation Center (BCC). შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები ეხმარებიან ქართულ კომპანიებს / სტარტაპებს საერთაშორისო პარტნიორების მოძიებაში.

საქართველოში რეგისტრირებულ ბიზნეს-კომპანიას აქვს შესაძლებლობა ქსელის ვებ-გვერდის მეშვეობით (<http://een-georgia.ge>) დარეგისტრირდეს, წარადგინოს თავისი ბიზნეს-იდეა; მიიღოს დახმარება ბიზნეს-წინადადების შედგენაში; დაუკავშირდეს პოტენციურ ბიზნეს-პარტნიორს ევროკავშირიდან.

წარმატების მაგალითები



ზვიად მჭედლიშვილს დაბა ბაკურიანში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ცნობილ სამთო-სათხილამურო კურორტზე, თითქმის 9 წლის განმავლობაში ჰქონდა პატარა თუნუქის ჯიხური, სადაც ტურისტებისა და დამსვენებლებისთვის სპორტული ინვენტარის (თხილამურები, სნობორდები, ციგები) გაქირავების სერვისს მართავდა. ეს ინვენტარი მას,

ისევე როგორც ახლოს მომუშავე აღნიშნული სერვისის სხვა მიმწოდებლებს, განთავსებული ჰქონდა ძალიან არაკომფორტულ გარემოში. ბორჯომის განვითარების ჯგუფის მხარდაჭერით განხორციელდა 30,000 ლარის ინვესტიცია, ევროკავშირის 60%-იანი თანამონაწილეობით. ევროკავშირის გრანტი შეადგენდა 18,000 ლარს, თავად ზვიადმა კი 12,000 ლარი მოიძია. შედეგად, თუნუქის პატარა ჯიხურის ადგილზე აღმოჩნდა თანამედროვე ტიპის შენობა ხარისხიანი სპორტული ინვენტარითა და ევროპული წარმოების თხილამურების ფეხსაცმლის საშრობით. პროექტში სეზონურად საქმდება 5-6 ადამიანი, მომხმარებლები კი კომფორტულ გარემოში სარგებლობენ სუფთა ინვენტარით, რომელიც თოვლში აღარ სველდება. აქამდე თუ ზვიადს სათხილამურო ფეხსაცმელი სალამოობით სახლში მიჰქონდა გასაშრობად, დღის განმავლობაში კი დამსვენებლებს ცივი ინვენტარით უწევდათ სარგებლობა, დღეს ეს პრობლემა უკვე გადაჭრილია – ახლა მათ განკარგულებაშია კეთილმოწყობილი და თბილი პუნქტი, გაუმჯობესებული მომსახურების პირობებით.

მსხვილფეხა პირუტყვის დაუმუშავებელი ტყავი საბერძნეთში ექსპორტზე გავიდა - 2017 წლის მაისში ტყავის გატანასთან დაკავშირებით შესაბამისი საექსპორტო სერტიფიკატი სურსათის ეროვნულმა სააგენტომ გასცა. საქონლის ტყავისგან ძირითადად ფეხსაცმელს და ტყავის ქურთუკებს აწარმოებენ. მსხვილფეხა პირუტყვის დაუმუშავებელი ტყავი, მატყლის შემდეგ, მეორე ცხოველური წარმოშობის არასასურსათო პროდუქტია, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყანაში პირველად გავიდა. ქართული მატყლი ევროკავშირის ბაზარზე 2017 წლის იანვარში გავიდა. „ქართული მატყლის კომპანიამ“ დიდ ბრიტანეთში 21 141 კილოგრამი მატყლი გაიტანა. 2016 წლის დეკემბერში ევროკავშირმა დაასრულა ფორმალური პროცედურები და უკვე შესაძლებელია ქართული თაფლის გატანა ევროკავშირის ბაზარზე.

წყარო: eugeorgia.info



კოოპერატივი „ალაზნისთავი“ - ზღვის დონიდან 2100 მეტრზე, თუშეთში, კერძოდ კი ალაზნისთავში, ტრადიციულ საძოვრებზე მდებარეობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „ალაზნისთავი“ საწარმო. კოოპერატივი 2015 წელს, ევროკავშირის (EU) მხარდაჭერით, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამე-

ზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში, ორგანიზაცია „ოქსფამის“ პროექტის „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ დახმარებით, პაატა აბულაძემ ჩამოაყალიბა. კოოპერატივში დღეს 11 წევრია გაერთიანებული. მათი უმრავლესობა თუშია, რომლებიც ამჟამად ალვანში ცხოვრობენ. ევროკავშირის მიერ კოოპერატივის გამოყოფილმა საგრანტო დახმარებამ 98,500 ლარი შეადგინა. ENPARD-ის პროექტის ფარგლებში განმახორციელებელ ორგანიზაცია „ოქსფამთან“ პარტნიორობით, კოოპერატივისთვის აშენდა ყველის საწარმო, მოეწყო განათებისა და გათბობის სისტემები. დღეს, კოოპერატივის მფლობელობაში 600-მდე საწველი ცხოველია. დღეისათვის საწარმოში ყოველწლიურად მზადდება 10 ტონა ყველი, შემდეგ წლებში კი მოცულობა 20 ტონამდე გაიზარდება. თუ 2015 წელს საშუალო მოგება კოოპერატივის ერთ წევრზე გაანგარიშებით 1,000 ლარი იყო, დღეს ეს ციფრი 2,250 ლარამდე გაიზარდა.

ოთხმა ხულოელმა ფერმერმა ჯემალ ართმელაძემ, მიხეილ ჩოგაძემ, ალექსანდრე იშხნელიძემ და ბიძინა შავაძემ 4 ტონა ქართული ნიორი გერმანიაში გაიტანეს. ფერმერებმა ნიორი 2015 წლის შემოდგომაზე ჯამში 0.5 ჰაზე დათესეს, მანამდე სარეალიზაციოდ ნიორს არ აწარმოებდნენ. საპილოტე



პროგრამის ფარგლებში აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ-მა „აგროსერვის ცენტრმა“ ფერმერები უკრაინულ მომწოდებელთან დააკავშირა, რომელმაც უზრუნველყო ქართული ნიორის გერმანიაში გატანა. უკრაინულმა მხარემ ქართველ ფერმერებს კილოგრამზე 2.5 აშშ დოლარი გადაუხადა.

წყარო: აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო



შ.პ.ს S.R.T 2012 წლის ნოემბერში, ქ. ზუგდიდში დაარსდა. საწარმოს საქმიანობის სფერო არის თხილის შესყიდვა, გადამუშავება და ექსპორტი. საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია მთლიანად ექსპორტზე ევროპაში გადის. 2017 წელს სწორედ ეს კომპა-

ნია გახდა EU4Business-ისა და EBRD-ის საკრედიტო ხაზის ერთობლივი პროექტის ბენეფიციარი. ამ პროექტის ფარგლებში კომპანიამ 300 ათასი ევროს მოცულობის კრედიტი მიიღო, საიდანაც 15% (45 ათასი ევრო) კომპანიას გრანტის სახით გადაეცა. მიღებული დაფინანსებით კომპანიამ, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ექსპორტის გაზრდის მიზნით, თხილის ლაზერული დახარისხების დანადგარები შეიძინა და დაამონტაჟა. განხორციელებული ინვესტიციის შედეგად, შ.პ.ს SRT-მ წარმატებით გაიარა HACCP და ISO2200:2005 სერტიფიცირების პროცედურები და ამჟამად მათ მიერ წარმოებული პროდუქცია ევროსტანდარტებს აკმაყოფილებს. პროდუქტის ხარისხის ამაღლებას მოყვასა და ექსპორტო ბაზრის გაფართოება და პროდუქციის გასაყიდი ფასის მატება.

კოოპერატივის „თერჯოლის ღვინო“ - ვიდრე ღვინის ბიზნესში წარმატებას მიაღწევდნენ გოგიტა მაკარიძეს და მის თანასოფელელ მეღვინეებს არაერთი სირთულის გადალახვა მოუხდათ. ევროკავშირის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამეზობლო პროგრამის (ENPARD) დახმარებით, მათ შეძლეს დაეფუძნებინათ თანამედროვე კოოპერატივი. შედეგად, წლიური წარმოება 500 ლიტრიდან 8–9 ტონა უმაღლესი ხარისხის ღვინომდე გაიზარდა. დღეს, თერჯოლის ღვინო წარმოადგენს საქართველოში ფართოდ გავრცელებულ ბრენდს, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზეც წარმატებით სარგებლობს. მისი პროდუქცია ხელმისაწვდომია ამერიკის, იაპონიის, რუსეთის, დანიისა და ავსტრალიის ბაზრებზე.



წყარო: Enpard.ge



კოოპერატივი „ხულგუმო 2014“ 2 წლის წინ დაარსდა და მასში 20 წევრი გაერთიანებული. 20 წევრიდან 16 ქალია. „ხულგუმოს“ კარტოფილის წლიური მოსავალის რაოდენობა 50 ტონას აჭარბებს. 1 წლის წინ ENPARD-ის ფინანსური დახმარებითა და პროგრამის განმახორციელებელი პარტნიორის Mercy Corps-ის

ტექნიკური მხარდაჭერით, კოოპერატივს სახნავ-სათესი ტექნიკა გადაეცა. თანადაფინანსების პრინციპით, ევროკავშირის გრანტის მოცულობამ 35,000 ლარი შეადგინა.

2014 წლის ნოემბერში კოოპერატივ „ალიონს“, რომელიც 6 წევრისგან შედგება ევროკავშირის ფინანსური დახმარებითა და UNDP Adjara-ას ხელშეწყობით, ტექნიკური დახმარება გაენიათ: პოლისტიროლის დადან-ბლათის ტიპის 100 სკა, ფუტკრის სრული ოჯახებით ისევე როგორც თაფლის გამოსახდელი ციბრუტი, მეფუტკრისათვის აუცილებელი ხელსაწყოები და ბიოვეტერმეპრატები დღეს უკვე ამ კოოპერატივის კუთვნილებაა და მათი პროდუქტიულობის ზრდას პირდაპირ უწყობს ხელს.



ევროკავშირის დახმარება საქართველოს

საქართველოში განსახორციელებელი პროექტებისთვის ევროკავშირი ყოველწლიურად 100 მილიონ ევროზე მეტ თანხას გამოყოფს. ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში ევროკავშირი ეხმარება საქართველოს ფართომასშტაბიანი რეფორმების განხორციელების პროცესში. დღეისათვის საქართველოში 100-ზე მეტი პროექტი ხორციელდება. 2014 წლის 18 ივლისს საქართველომ ხელი მოაწერა ურთიერთგაგების შესახებ მემორანდუმს, რითაც განისაზღვრა თანამშრომლობის პრიორიტეტები 2014-2017 წლებისათვის, ხოლო ამ პერიოდისთვის წინასწარმა ფინანსურმა ასიგნებებმა დაახლოებით 335-410 მილიონი ევროს მოცულობის თანხა შეადგინა. ევროკავშირის დახმარება შემდეგი სფეროებისთვის არის გამოყოფილი: მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები, დემოკრატიზაცია და სამოქალაქო საზოგადოება, კონფლიქტების მოგვარება, ეკონომიკა, ვაჭრობა და სახელმწიფო ფინანსების მართვა; ინფრასტრუქტურა, გარემოს დაცვა და სოფლის განვითარება; განათლება, ჯანდაცვა და სოციალური განვითარება.

ევროკავშირის ფინანსური დახმარება გამოიყოფა გრანტების, კონტრაქტებისა და საბიუჯეტო დახმარების სახით:

ევროკავშირის დახმარება სოფლის მეურნეობისთვის ბრდის ქართველ ფერმერთა შემოსავლებს. ევროკავშირის დახმარებით სწორედ ამისთვის შეიქმნა ფერმერთა 1500 კოოპერატივი. წინასწარი მონაცემები ადასტურებს, რომ ფერმერთა კოოპერატივებს პოტენციურად შეუძლიათ სამრეწველო ხარჯების შემცირება 30%-ით, ხოლო შემოსავლების გაზრდა - 20%-ით.

ევროკავშირი ინტენსიურად ცდილობს დაეხმაროს საქართველოს მოქალაქეებს, რომ მათთვის მართლმსაჯულება უფრო ხელმისაწვდომი გახდეს. ამ მიზნით ევროკავშირი დაეხმარა სახელმწიფოს იურიდიული სამსახურის შექმნაში, რომელმაც დღემდე 150 000 საქართველოს მოქალაქეს გაუწია უფასო იურიდიული მომსახურება.

ევროკავშირი ეხმარება საქართველოს მთავრობას, რომ ფინანსების მართვა უფრო გამჭვირვალე გახდეს, ხოლო ანგარიშვალდებულება მოქალაქეების წინაშე - გაიზარდოს. 2014 წლიდან მთავრობა აქვეყნებს სახელმწიფო ბიუჯეტის ცნობარს მოქალაქეებისთვის, სადაც ნათლად განმარტავს, თუ სად და როგორ დაიხარჯა თანხები.

ევროკავშირი ეხმარება საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობიდან სარგებლის მიღებაში. ხდება დახმარების გაწევა მცირე

და საშუალო ბიზნესისთვის და იმისთვის, რომ ქართულმა საწარმოებმა შეძლონ ევროპული სტანდარტის მიღწევა. ორი წლის განმავლობაში ევროკავშირის დახმარებით 100 კომპანიამ უკვე მიიღო ტექნიკური დახმარება. რეგიონებში იქმნება საინფორმაციო ცენტრები ევროკავშირთან ვაჭრობის შესახებ, ხოლო ევროკავშირის თანხებით გამაგრებული საკრედიტო ხაზები ფინანსურად დაეხმარება მცირე და საშუალო საწარმოებს.

ევროკავშირი ეხმარება საქართველოს განათლების სისტემის მოდერნიზებაში ბოლონის პროცესის ფარგლებში მიმდინარე რეფორმების კონტექსტში. მიმდინარეობს განათლების ხარისხის ზრდა, უნარების განვითარება, განსაკუთრებით ევროკავშირსა და საქართველოს შორის სტუდენტების, მასწავლებლების, მკვლევარების, აკადემიური პერსონალის და ახალგაზრდობის მიმოსვლის (მობილობის) წახალისების ხარჯზე. 1700 სტუდენტსა და თანამშრომელს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს მობილობით; 5300 ახალგაზრდას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ევროპულ პარტნიორობთან ჩატარებულ ერთობლივ ღონისძიებებში.

2014-დან 2016 წლამდე ევროკავშირმა რეგიონის მასშტაბით 260-მდე ახალი პროექტი დააფინანსა და ეს დახმარება 600-ზე მეტმა ორგანიზაციამ მიიღო.

არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში ევროკავშირისგან დახმარებას ძირითადად ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტისა - ENI (გეოგრაფიული ინსტრუმენტი) და ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის - EIDHR (თემატური ინსტრუმენტი) საშუალებით იღებენ.

დახმარება მცირე და საშუალო ბიზნესს, ხშირ შემთხვევაში, ევროკავშირის ფინანსური და ტექნიკური დახმარება სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით მიეწოდება. (იხილეთ სასარგებლო რესურსები ბიზნესისთვის).

სასარგებლო რესურსები ბიზნესისტვის

როგორ გავიგოთ მეტი ინფორმაცია ასოცირების ხელშეკრულების, DCFTA-ს, მცირე და საშუალო ბიზნესისტვის განკუთვნილი პროგრამები-სა და სხვა შესაძლებლობების შესახებ

www.aa.ge ასოცირების ხელშეკრულების ინტერაქტიული გზამკვლევა, ის თავს უყრის ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს მიერ ნაკისრ ყველა ვალდებულებას. ვებპორტალი მომხმარებელს საშუალებას აძლევს ერთ სივრცეში მოიძიოს თემა, რომელიც აინტერესებს (მაგ: განათლება, საბაჟო კანონმდებლობა, ჯანდაცვა, ტრანსპორტი, მცენარეთა დაცვა, ვეტერინარია და ა.შ.) და 2027 წლის ჩათვლით, თემისა და თარიღის მიხედვით, დაახარისხოს ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან დაახლოების შესახებ.

www.aa-monitoring.ge წარმოადგენს საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების განხორციელების შესახებ საინფორმაციო პორტალს. გვერდი შეიქმნა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) თანამშრომლობის შედეგად. მისი მიზანია საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია რეფორმებისა და ცვლილებების შესახებ.

www.dcfta.gov.ge-ს მართავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ვებგვერდზე მომხმარებელს შეუძლია გაცნოს პრაქტიკული და საკანონმდებლო სახის ინფორმაციას DCFTA-ს შესახებ, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. საინფორმაციო ვებგვერდი დაინტერესებულ პირებს, ინფორმაციის მიწოდების გარდა, შესაძლებლობას აძლევს, უფლებამოსილ ორგანოებს წარუდგინონ შენიშვნები ან წინადადებები DCFTA-ს ფარგლებში მათ მიერ მისაღები ნორმატიული აქტების პროექტებზე.

www.tradewithgeorgia.com ვებ-გვერდის „Business Inquiry“ ფუნქციის მეშვეობით საკუთარი პროდუქციის ექსპორტირებით დაინტერესებულ კომპანიებს შეეძლებათ ონლაინ განათავსონ საკუთარი წინადადებები და შეთავაზებები.

<http://een-georgia.ge> - ევროპის მეწარმეთა ქსელის ვებ-გვერდი. გამოიყენება ევროკავშირში ბიზნეს-პარტნიორების ძიებისთვის.

www.enpard.ge - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა (ENPARD) საქართველოში 2013 წლიდან ხორციელდება. იგი მიზნად ისახავს საქართველოს სოფლის განვითარებას და სოფლის მეურნეობის სექტორის გამოცოცხლებას ხელისუფლებას, სამოქალაქო საზოგადოებას და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის პირობებში. 2013-2022 წლებისთვის, ENPARD-ის ბიუჯეტი საქართველოში 179.5 მილიონი ევროა (I ფაზა – € 52 მილიონი, 2014-2017; II ფაზა – € 50 მილიონი, 2016-2019; III ფაზა – € 77.5 მილიონი, 2018-2022). ვებ-გვერდზე პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსებსა და დაგეგმილ პროექტებზე იხილავთ ინფორმაციას.

www.apma.ge - სსიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო; ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა ბიზნესის განვითარებისთვის გამიზნული პროექტების შესახებ.

კერძოდ, ინფორმაცია პროგრამების შესახებ: **დანერგე მომავალი (ახალი კულტურებისა და სანერგე მეურნეობების თანდაფინანსების პროგრამა); ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა; აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა; შეღავათიანი აგროკრედიტი; გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანდაფინანსების პროგრამა; აგროდაზღვევა; აწარმოე საქართველოში; სეზონური პროექტები; ასევე ინფორმაცია ახალი პროექტის „ახალგაზრდა მენარმე“ შესახებ.**

www.qartuli.ge - სააგენტო „აწარმოე საქართველოში“. ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია მიმდინარე პროექტების შესახებ ბიზნესისთვის. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სამთავრობო პროგრამა მიმართულია წარმოების განვითარებისა და წახალისებისაკენ, რომლის მთავარ მიზანს მენარმეობის განვითარება, მენარმე-სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა წარმოადგენს. პროგრამა მოიცავს 3 კომპონენტს: ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა; უძრავი ქონების უზრუნველყოფა; საკონსულტაციო მომსახურება. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ისეთი პროექტები, როგორცაა: ფინანსური დახმარების პროგრამები ბანკების ჩართულობით; ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის - მიკრო და მცირე ბიზნესის კომპონენტი; არსებული ბიზნესის გაფართოება-გადაიარაღებისთვის - მიკრო და მცირე ბიზნესის კომპონენტი; სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი და ა.შ.

www.nasp.gov.ge სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო - მონაცემები სახელმწიფო ქონების შესახებ;

techpark.ge - ვებ-გვერდზე მოიძიებთ ინფორმაციას თბილისის და ზუგდიდის ტექნოპარკების, მათ მიერ შემოთავაზებული სერვისების და პროექტების შესახებ.

ხე; ტექნოპარკი არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ პროექტი, რომელიც ორიენტირებულია ინოვაციური იდეების მქონე პირებისათვის ე.წ. „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მომუშავე სივრცის შექმნაზე. ტექნოპარკი აერთიანებს სხვადასხვა მიმართულებისა და იდეების მქონე ადამიანებს და ხელს უწყობს მათ ტექნოპარკის ინფრასტრუქტურის გამოყენებით, შექმნან ახალი ტიპის, ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროდუქტი და სერვისები რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნება, როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ ბაზარზე. მაგალითად სთავაზობს მათ: მაღალი ტექნოლოგიებით აღჭურვილ სივრცეს – ფაბლაბებს,, რომელიც აღჭურვილია 3D პრინტერით, ლაზერული მჭრელით, CNC რუტერით, ვაკუმ ფორმირების აპარატით, პროგრამირებადი საკერავი მანქანით. ფაბლაბში ასევე წარმოდგენილია: სასერი პროტეკტები, სხვადასხვა ტიპის მყარ ზედაპირზე საბეჭდი დანადგარები, თერმული პრესები, რაც საერთო ჯამში დანარჩენ დანადგარებთან ერთად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ფაბლაბში მოსულმა ინოვატორმა შეძლოს ტექნიკურად მუშა ან ვიზუალურად მაღალი დონის, ხარისხიანი პროტოტიპების დამზადება, რომლითაც აქვს შესაძლებლობა მოიპოვოს დამატებითი დაფინანსება და გადავიდეს მასიურ წარმოებაზე.

www.startup.gov.ge - ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია პროექტის „სტარტაპ საქართველო“ შესახებ, რომელიც სს „საპარტნიორო ფონდის“ მიერ დაფუძნდა. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს დამწყები ბიზნესის (სტარტაპების) განვითარებას საქართველოში. აქვე არის განთავსებული ინფორმაცია კონკურსების შესახებ.

eugeorgia.info - საიტზე განთავსებულია სიახლეები საქართველო-ევროკავშირის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების შესახებ; წარმატებული პროექტებისა და იდეების, ევროკავშირში ექსპორტის შესაძლებლობების ათვისების კონკრეტული მაგალითები.

სამოქალაქო საზოგადოება -
მცირე და საშუალო ბიზნესის და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის
მხარდობსებერად

 DCFTA მცირე და საშუალო ბიზნესისთვის / DCFTA FOR SMES

მისამართი: ფალიაშვილის ქუჩა 85, თბილისი

ტელ: 0322207305

ელ. ფოსტა: IGURULI@EPRC.GE